

## კომუნიკაცია

თქვენი შვილი საუბრისას უკვე სრულყოფილ წინადადებებს იყენებს. შეუძლია ორსაფეხურიანი დავალების შესრულება. მან უკვე იცის თავისი სახელი და გვარი და შეკითხვაზე „რა გქვია?“, პასუხობს სწორად. მას უყვარს, როდესაც თავის თანატოლს, თოჯინას ან დათუნას ესაუბრება. მან იცის, რომ ხმა, რომელიც ტელეფონში ესმის, იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელსაც ვერ ხედავს. ამ ეტაპზე ის უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე გისმენთ.

ღამე  
მშვიდობისა

ძილის წინ აკოცეთ თქვენს ბავშვს სხეულის სხვადასხვა ადგილზე და უთხარით: „მე გაკოცებ მუხლზე. მე უნდა გაკოცო თავზე. ახლა მე შენ გაკოცებ ყურის უკან. ღამე მშვიდობისა ხელო! ღამე მშვიდობისა!“

ვინ არის  
ეს?

მოიქეცით ისე, ვითომ უცებ დაგავიწყდათ თქვენი ბავშვის სახელი. ჰკითხეთ: „რა გქვია შენ პატარა გოგონავ? შენ სალომე ხარ? თუ შენ ანასტასია ხარ? ან იქნებ სხვა სახელი გქვია?“ როდესაც ბავშვი თავის სახელს იტყვის, გამოხატეთ სიხარული და გაოცება.

მინიშნება

თქვენს ბავშვს დაუტოვეთ პატარა მინიშნებები სხვადასხვა ადგილას. მინიშნება შეიძლება გულისხმობდეს, რომ „შენ ძალიან მზრუნველი ხარ შენი პატარა დის მიმართ.“ მინიშნების დატოვება სათამაშოების თაროზე ნიშნავს, რომ თქვენ შეამჩნიეთ, რომ სათამაშოები მილაგებულა. მინიშნება ვახშამის თეფშთან მიუთითებს, რომ საყვარელ ზღაპარს ძილის წინ მამა წაუკითხავს. მოგვიანებით წაუკითხეთ მას ეს მინიშნებები ისე, რომ მან გაიგოს რა სასიამოვნო და მნიშვნელოვანი პროცესია კითხვა.

ცოცხალი  
არსებები

გარეთ სეირნობისას მოძებნეთ ცოცხალი არსებები. დაუსვით კითხვები პატარას მის გარშემო არსებული სამყაროს შესახებ: „სად არიან ჩიტები?“ - ზემოთ ცაში. „სად ცხოვრობენ ხოჭოები?“ - ქვების ქვეშ. თავიდან მას თქვენი დახმარება დასჭირდება, მაგრამ პასუხები მალე ეცოდინება.

პატარა  
სინოპტიკოსი

დილაობით სთხოვეთ თქვენს ბავშვს გაიხედოს ფანჯარაში და გითხრათ როგორი ამინდია. მზიანი ამინდია? წვიმიანი ამინდია? ღრუბლიანია? როგორი ამინდი იქნება დღეს? დაახატინეთ მზიანი ნახატი თუ მზიანი დღეა ან წვიმის წვეთები თუ წვიმიანი ამინდია ან ღრუბლები თუ ღრუბლიანი ამინდია.

სასიყვარულო  
ბარათი

მოიმარაგეთ ფურცლები, წებო, სტიკერები, საფოსტო მარკები, ლენტები, ბავშვის საყვარელი ნივთების და ცხოველების სურათები. გააკეთეთ მისალოცი ბარათი თქვენი ბავშვისთვის საყვარელი ადამიანისთვის. ისაუბრეთ ამ ადამიანზე და დაეხმარეთ პატარას დაუწეროს წერილი. დააწერეთ კონვერტზე მისამართი, დააკარით მარკა და გააგზავნეთ. ეს პატარა სიკეთე დიდ შედეგს მოიტანს.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## მსხვილი მოტორიკა

თქვენ ბავშვს უკვე შეუძლია ბურთის ფეხით დარტყმა, გადახტომა და შეიძლება ცალ ფეხზე ხტუნვაც. ის უკვე ხანგრძლივად კავდება ერთი გასართობით. შეუძლია საკმაოდ დიდხანს ატაროს სამთვლიანი ველოსიპედი ან ურიკა. რამეზე აცოცება და აძრომა მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმიანობაა. მას უყვარს მეგობრებთან თამაში. ენერჯის დახარჯვის შემდეგ კი ღამით მშვენივრად ძინავს.

### მარშირება

აჩვენეთ თქვენს პატარას როგორ უნდა ორკესტრთან ერთად მარშირება. მუხლების მალა აწევა არ დაგავიწყდეთ. დაპატიჟეთ მეგობრები და ისინიც ჩართეთ ორკესტრში. გამოიყენეთ დოლი და დროშები. მოაწყვეთ ნამდვილი ალლუმი.

### კენგურუს ბავშვი

აჩვენეთ ბავშვს, როგორ დახტის კენგურუ. წარმოიდგინეთ, ვითომ თქვენ დედა კენგურუ ხართ. ფეხები ერთმანეთს მიატყუპეთ და ისე იხტუნეთ: სკუპ, სკუპ, სკუპ. დაუმახეთ თქვენს შვილ კენგურუს, რომ წამოგყვით. ეს უფრო კარგი გასართობი იქნება გარეთ ან მის მეგობრებთან ერთად.

### გაშეშობანა

ითამაშეთ გაშეშობანა: ცეკვის ან მოძრაობის დროს უცებ უთხარით: „სტოპ!“ და ისიც მაშინვე, შუა მოძრაობაში უნდა გაჩერდეს. გააგრძელებინეთ მოძრაობა, რისთვისაც უთხარით: „წავიდა!“. ითამაშეთ რიგრიგობით ეს სასაცილო თამაში.

### ფეხბურთი

მიეცით ბავშვს საშუალო ზომის ბურთი. ასწავლეთ, როგორ უნდა დაარტყას ფეხი: ჯერ ფეხი უკან უნდა მოიქნიოს და მერე უნდა დაარტყას ბურთს. დადეთ მუყაოს ყუთი და აჩვენეთ, როგორ უნდა ბურთის ყუთისკენ დარტყმა, რომ გოლი გაიტანოს. დაიყვირეთ „გოლი!“ როდესაც ის ბურთს ყუთში მოახვედრებს.

### თვითმფრინავობანა

უთხარით ბავშვს, ვითომ ის თვითმფრინავია და ირბინოს ხელეგაშლილმა. აჩვენეთ როგორ მოუხვიოს მარცხნივ და მარჯვნივ, თან თვითმფრინავის ხმები გამოუშვით. დაეშვით ქვემოთ, შემდეგ წრეზე იფრინეთ. სიჩქარის შემცირების დროა! დაიხარეთ და „მიწაზე დაეშვით“.

### კალათბურთი

მაგიდაზე ან სხვა მაღალ ადგილას დადეთ რაიმე ყუთი ან კალათა. მიეცით პატარას ბურთი, რომ ზემოთ აწეული ხელებით ისროლოს კალათაში. შეგიძლიათ ორი სკამის საზურგეზე გააკრათ ლენტის კალათის წინ. აჩვენეთ პატარას, როგორ უნდა ბურთის სროლა ლენტის ზემოთ კალათაში: „შენ ეს შეძელი, ყოჩაღ!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## ნატიფი მოტორიკა

თქვენს პატარას უფრო კარგად გამოსდის ღილებიანი და ელვა შესაკრავიანი ტანსაცმლის შეკვრა. ის დამოუკიდებლად ხმარობს ჩანგალს და კოვზს ჭამის დროს. მას შეუძლია პურზე კარაქის ან მურაბის წასმა. ფანქარი და კალამი სამი თითით უჭირავს და უყვარს ხატვა. მან შესაძლოა წრეების და სხვა ფიგურების დახატვაც შეძლოს.

### ღილების შეკვრა

მიეცით პატარას დიდი ფუმფულა დათუნია ან თოჯინა, რომ ჩააცვას. კარგი იქნება თუ ტანსაცმელს რამდენიმე ღილი ან შესაკრავი ექნება, ამით ის თავის პატარა თითებს გაავარჯიშებს. ასევე, კარგი იქნება ფხრიწიან ფეხსაცმელს ან სხვა რაიმე ტანსაცმელს თუ იპოვით. ფეხსაცმლის თასმების შეკვრა ჯერ მისთვის ძალიან ადრეა. აუცილებლად შეაქეთ: „რა მზრუნველი მამა/დედა ხარ!“

### ლამაზი ყელსაბამი

ფერადი ფურცლებისგან გამოჭერით წრეები ან ყვავილები და ცენტრში გაუკეთეთ ხვრელი. საწრუპი მილი დაჭერით რამდენიმე ნაწილად. მიეცით პატარას ეს ყვავილები და საწრუპი მილის ნაჭრები, რომ ისინი თასმაზე ააცვას. აჩვენეთ თანმიმდევრობა: ყვავილი-მილი-ყვავილი-მილი. მას შეიძლება ეს თანმიმდევრობა აერიოს, მაგრამ არაუშავს. შეკარით ბოლოები და მას საკუთარი შექმნილი, ლამაზი ყელსაბამი ექნება!

### თხილის გარჩევა

იყიდეთ თხილი, დაამტვიეთ და აჩვენეთ თქვენს პატარას, როგორ უნდა თხილის გულის ნაჭუჭიდან გამორჩევა. მიეცით პლასტმასის ჭურჭელი, რომ გარჩეული თხილი ჩაყაროს. როდესაც გაარჩევს, აჭამეთ. რა გემრიელია!

### ქუჩის მხატვარი

ფერადი ცარციტ ტროტუარზე დაახატინეთ პატარას ნახატები. შეგიძლიათ მისცეთ ფუნჯი და წყლით დაახატინოთ ნახატი. ის გაერთობა ხატვით და იმის აღმოჩენით, რომ მისი ნახატები ჯადოსნურად ორთქლდებიან: „სად წავიდა შენი ნახატი?“

### საყიდლების სიის შედგენა

მიეცით ბავშვს პატარ ფურცელი და კალამი ან ფანქარი. სთხოვეთ, რომ საყიდლების სიის შედგენაში დაგეხმაროთ. დაწეროს თავისი „სიტყვებით“ ან დახატოს. როდესაც მარკეტში წახვალთ, წააკითხეთ მისი სია. ის წერის ჯადოსნურობას თავისი ნაჯღაპნისთვის მნიშვნელობების მინიჭებით სწავლობს.

### მაკრატილით დაჭრა

ავარჯიშეთ თქვენი პატარა მაკრატილის ხმარებაში. გამოიყენეთ საბავშვო მაკრატილი. აჩვენეთ, როგორ უნდა გააღოს და დაკეტოს მაკრატილი გასაჭრელად, სანამ თქვენ ფურცელს უჭერთ. რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ცალი ხელით გაჭრა ასწავლეთ, მეორე ხელში კი ქაღალდი დააჭერინეთ. თავიდან კიდევების ჩამოჭრაც დიდი მიღწევაა. თუ ის შეძლებს ქაღალდის რამდენიმე ნაჭრად დაჭრას, შეინახეთ ეს ნაჭრები კონვერტში. შეგიძლიათ ისინი ფურცელზე დააკრათ და განსხვავებული მიმდინარეობა შექმნათ ხელოვნებაში!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## პრობლემის გადაჭრა

თქვენი ბეჯითი მოსწავლე ბევრ ახალ უნარს იძენს. მას შეუძლია ფაზლების აწყობა (ექვს- ან მეტნაწილიანი), სხვადასხვა ფიგურების დახატვა (წრეები და ოთკუთხედები) და ფერების ცნობა. ის უკვე ადვილად აწყვილებს საგანს შესაბამის სურათთან და იცის მსგავსებები და განსხვავებები. ძალიან ცნობისმოყვარეა, აინტერესებს თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის ნივთი. თქვენი განმარტება მას ეხმარება გაგებასა და სწავლაში.

თქვენი ქალაქი

მოაგროვეთ კუბები და ყუთები შენობის ასაშენებლად და ერთად ააშენეთ. მუყაოს ნაჭრებისგან გაკეთეთ სახურავი, ხოლო სახაზავი ან ჩხირები გამოიყენეთ ხიდის გასაკეთებლად. ააშენეთ ქალაქი. დაამატეთ სათამაშო მანქანები და თოჯინები. გააცოცხლეთ ქალაქი!

საჭმელი პიკნიკისთვის

იმისთვის რომ გაავარჯიშოთ ბავშვის მეხსიერება, წარმოიდგინეთ ვითომ პიკნიკზე მიდიხართ და უთხარით: „ჩვენ მივდივართ პიკნიკზე, სადაც ჩვენ მიგვაქვს ვაშლები.“ სთხოვეთ შემდეგი საჭმელი თვითონ მოიფიქროს: „კიდევ რა წავიღოთ?“. „მიგვაქვს ვაშლები და ....“ ახლა თქვენი ჯერია, თქვენ მიამატეთ სხვა საჭმელი. აბა რამდენი საჭმლის დამახსოვრებას შეძლებს. ამ თამაშით კარგად გაერთობით მანქანით ან ავტობუსით მგზავრობის დროს.

კაცუნა

სხოვეთ ბავშვს, რომ დახატოს კაცუნა ფურცელზე ან მუყაოზე. უთხარით: „ეს ლუკაა.“ დამალეთ ლუკა და მისაგნებად მიეცით მინიშნებები: „ის არის ოთახში, სადაც არის წყალი, მაგრამ ეს აბაზანა არ არის. ის არის უჯრაში კართან ახლოს“. ლუკას მიგნებისთვის ჯილდო ჩახუტებაა. ახლა კი თქვენ მოძებნეთ ლევანი და ბავშვი დაგეხმაროთ მინიშნებებით.

ფული

ფერადი ფურცლებით გააკეთეთ სათამაშო ფული. ვითომ თქვენ ხართ გამყიდველი და უთხარით: „ეს წინდები ღირს 2 ლარი“. „თქვენი საუზმე ღირს 3 ლარი“. დაეხმარეთ ბავშვს ფულის დათვლაში. ახლა თქვენი ბავშვი იყოს გამყიდველი. უფრო მეტი ხალისისთვის მაღაზიის დახლად გამოიყენეთ რაიმე ყუთი.

საყიდლების სურათებიანი სია

ჟურნალებიდან და გაზეთებიდან გამოჭერით იმ პროდუქტების სურათები, რომლის ყიდვასაც აპირებთ. ჩადეთ ისინი კონვერტში და წაიღეთ მარკეტში. ამოაღებინეთ პატარას სურათები იმის შესახსენებლად, რაც დაგრჩათ საყიდელი. მაგალითად, თუ მას უჭირავს კვერცხების სურათი, თქვენ უთხარით: „ხო, ჩვენ დღეს გვჭირდება კვერცხები“. როდესაც რაიმეს უკვე იყიდით, არ დაგავიწყდეთ მაღლობა გადაუხადოთ შესხენებისთვის.

სუფრის გამლა

მოიხმარეთ პატარა სუფრის გამლაში. დაალაგეთ თეფშები და სთხოვეთ, რომ დაითვალოს. ჰკითხეთ რამდენი კოვზი დასჭირდება. დაათვლევინეთ ისინი ხმამაღლა. როდესაც ის დათვლას კარგად ისწავლის, დაამატეთ ახალი ნივთი: „რამდენი ხელსახოცი დაგჭირდება? როგორ კარგად მეხმარები.“

პატარა, დიდი, კიდევ უფრო დიდი, ყველაზე დიდი

მოაგროვეთ სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელები. იატაკზე ლენტისგან, თასმისგან ან ფურცლისგან გააკეთეთ ხაზი. სთხოვეთ პატარას, ჩაამწკრივოს ეს ფეხსაცმელები. აჩვენეთ, როგორ უნდა დაიწყოს ყველაზე პატარა ფეხსაცმელით, შემდეგ მოძებნოს უფრო დიდი, კიდევ უფრო დიდი, სანამ ყველაზე დიდ ფეხსაცმელს არ ნახავს. როგორც კი ბავშვი გაიგებს ამ თამაშს, აურიეთ ფეხსაცმელები და სთხოვეთ, რომ წრაფად დაალაგოს ზომის მიხედვით: „მოემზადე, დაიწყე!“ სცადეთ იგივე თამაში ქვების ან გირჩების გამოყენებით.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## პიროვნულ-სოციალური

თქვენი ბავშვი სულ უფრო და უფრო სოციალური ხდება. მას უფრო მეტად შეუძლია სახლის საქმეებში მონაწილეობა და თავის მოვლაშიც უფრო დამოუკიდებელია. ის თამაშობს თანატოლებთან ერთად, თუმცა ერთად თამაშისა და გაზიარების მხრივ თქვენი დახმარება მაინც სჭირდება. თქვენი მოწონება და ყურადღება კვლავ მნიშვნელოვანია მისთვის. მას უყვარს, როდესაც ის სულელობს და სხვებს აცინებს, განსაკუთრებით კი - თქვენ.

თამაში  
„დიდი  
ტანსაცმლის  
ჩაცმა“

ითამაშეთ ძველი ტანსაცმის ჩაცმით. დიდი ჩექმები სასაცილოა, ასევე დიდი ქუდები, ქამრები და სხვა აქსესუარები. ყელსახვევი ან ყელსაბამიც კარგი შტრიხია. ასევე საფულე, ჩანთა და ჟილეტი თამაშს უფრო საინტერესოს გახდის. კარგი იქნება თუ ტანსაცმელს ექნება დილები, ელვა შესაკრავი ან კარგია თუ ხელთათმანები გექნებათ თითების გასაყრელად. დაუდეთ სარკე და ჩაახედეთ: „სად მიდიხარ დღეს?“

რიგის  
დათვლა

ასწავლეთ პატარას რიგის დაცვა და თან დაითვალეთ რამდენი ხანი გრძელდება მისი და თქვენი ჯერი. მაგალითად, უთხარით: „შენ შეგიძლია იქნაო მანამდე, სანამ მე 10-მდე დავთვლი და შემდეგ შენი ძმის ჯერი მოვა“. 10 გაქანება დაითვალეთ ხმამაღლა: „გეყოფა, ახლა შენი ძმის ჯერი მოვიდა“. მიეხმარეთ მას 10-მდე დათვლაში. ამით ბავშვი ისწავლის, რომ რიგის ლოდინი მალე მთავრდება.

რიტმა და  
ქანაობა

მშვიდ გარემოში წაუკითხეთ ან უთხარით თქვენს პატარას ლექსი ან კუპლეტი. მოეხვიეთ და იქანავეთ ლექსის რითმის მიხედვით. დაასრულებინეთ ბავშვს ნაცნობი რიტმა.

კექსი  
ყველასთვის

დაიხმარეთ ბავშვი კექსის გამოცხობაში. მას შეუძლია მოგეხმაროთ მორევაში, შაქრის ჩაყრაში, დასხმაში. მიეცით პლასტმასის დანა, რომ კრემის წასმაში მოგეხმაროთ. ჰკითხეთ, ვისთვის არის კექსი. დადეთ კექსი ხელსახოცზე და დააწერეთ იმის სახელი, ვისთვისაც არის. მიეცით საშუალება, რომ სხვებს გაუზიაროს კექსი.

მილისწინა  
კოცნის  
დათვლა

დამინების წინ დაითვალეთ კოცნები ხმამაღლა. კითხეთ რამდენი კოცნა უნდა ნიკაპზე: „სამი? კარგი ერთი (კოცნა), ორი (კოცნა), სამი (კოცნა). ცხვირზე რამდენი? არაჩვეულებრივი მეთოდია დათვლის სასწავლად!

მანქანების  
დათვლა

მანქანით ან ავტობუსით მგზავრობისას სთხოვეთ პატარას, დათვალოს ყველა ლურჯი მანქანა. მიეხმარეთ რომ არ გამოჩქვას ლურჯი მანქანები და ხმამაღლა დაითვალეთ. უფრო მეტად დაუკონკრეტეთ და უთხარით: „დაიმახსოვრე, ლურჯი სატვირთო მანქანა არ ითვლება“. შემდეგზე თვითონ აარჩევინეთ, რისი დათვლაც სურს.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.